პროექტი

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო

დადგენილება №-------

ქ. ოზურგეთი -- თებერვალი 2022 წელი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 აპრილის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ნ“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 ნაწილების, და „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულომ **დაადგინა :**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 აპრილის N9 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge,ვებგვერდი 08/04/2021; სახელმწიფო სარეგისტრაციო კოდი 010260020.35.113.016441) და დადგენილებას თანდართული N1 დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების წარმოების ორგანიზებისა და ფორმებით მომარაგებას ახორციელებს ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერის მიერ სათანადო წესით უფლებამოსილი პირი.“

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე დავით დარჩია

განმარტებითი ბარათი

„ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის ზედამხედველობის სამსახურის მიერ ადმინისტრაციული სამართალდარღვევის და სამშენებლო სამართალდარღვევის საქმის ადმინისტრაციული წარმოებისას გამოსაყენებელი დოკუმენტების ფორმებისა და აღრიცხვა-ანგარიშგების წესის დამტკიცების შესახებ, ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 აპრილის N9 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტზე

1. პროექტის წარმდგენი:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერი

2. პროექტის ავტორი და ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე მომხსენებელი: ლაშა თავაძე - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული სამსახურის უფროსი.

3. პროექტის მიღების (გამოცემის) მიზეზი და მისი ძირითადი დამახასიათებელი ნიშნები:

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 აპრილის N9 დადგენილების თანდართული N1 დანართის მე-2 მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ოქმის ფორმების წარმოების ორგანიზებისა და ფორმებით მომარაგების განხორციელების უფლებამოსილი დაწესებულების სახით მითითებული იყო ჩოხატაურის მუნიციპალიტეტი ნაცვლად ოზურგეთის მუნიციპალიტეტისა.

აღნიშნულმა ტექნიკურმა შეცდომამ გამოიწვია ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 7 აპრილის N9 დადგენილებაში ცვლილებების აუცილებლობის საკითხი, კერძოდ სიტყვის ჩოხატაურის ნაცვლად მიეთითა სიტყვა ოზურგეთი.

4. პროექტი შეიცავს პრეამბულას და მასში გადმოცემულია ამ ნორმატიული აქტის მიღების სამართლებრივი საფუძვლები.

5. იმ შედეგების საფინანსო-ეკონომიკური გაანგარიშება, რომლებსაც გამოიწვევს წარმოდგენილი პროექტის მიღება (გამოცემა):

ა) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის შემოსავლების ზრდას.

ბ) პროექტის მიღება არ გამოიწვევს ადგილობრივი ბიუჯეტის ხარჯების ზრდას.

6. პროექტის მიღების სავარაუდო თარიღია 2022 წლის --- მარტი.